



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მედიცინის მეცნიერებათა აკადემია საქართველოსი

მედიცინის მეცნიერებათა აკადემია საქართველოსი, დარგობრივი სამეცნიერო დაწესებულება დაფუძნდა 1994. მისი უმთავრესი მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის მუშაობას; შექმნას საქართველოში მედიცინის მეცნიერებათა განვითარებისთვის ოპტიმალური პირობები, შეიმუშავოს სამეცნ.-კვლევების პრიორიტეტული მიმართულებები, აღზარდოს სამეცნ. კადრები, დაწეროს სამეცნ. მეცნიერების მიღწევები, შეიმუშავოს სამეცნ. სამსახურის განვითარების მოკლე - და გრძელვადიანი პროგრამები და სხვ.; ასევე, აწარმოოს საკონსულტაციო და საექსპერტო სამუშაოები სამთავრობო და სხვა სახელმწ. სტრუქტურებთან. ამ საქმიანობის წარმართვისათვის მ. მ. ა-მ შეიმუშავა 2018_25 წლების სამუშაო პროგრამა.

მ. მ. ა. არის თვითმმართველი, თვითდაფინანსებადი, არაკომერციული და არასამთავრობო ორგანიზაცია საკუთარი წესდებითა და საარჩევნო დებულებით. აკადემიაში არსებობს თეორიული, თერაპიული და ქირურგიული განყ-ბები. ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს აკად. საბჭო (პრეზიდიუმი), რ-ის შემადგენლობაში შედიან პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და განყ-ბების ხელძღვანელები. აკადემიის დებულებით მისი წევრი შეიძლება გახდეს მედიცინის დოქტორის ხარისხის მქონე პროფესორი, რ-მაც შექმნა საერთაშორისოდ აღიარებული ახ. სამეცნ. მიმართულება მედიცინაში, ხოლო წევრთა რაოდენობა 30-ს არ უნდა აღემატებოდეს.

აკადემია დააფუძნა მედიცინის მეცნ. დოქტორის ხარისხის და პროფესორის წოდების მქონე სხვადასხვა სამეცნ. სპეციალობის 29 ექიმმა. დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით მ. მ. ა-ის წევრი გახდა აგრეთვე საქართვე. მეცნ. ეროვნული აკადემიის ყველა აკადემიკოსი.

აკადემიის პირველი პრეზიდენტი იყო [ბ. კახიანი](#) (პირველი ვიცე-პრეზიდენტი - [გ. დუმბაძე](#)), შემდეგში - [რ. ხეცურიანი](#) (მომდევნო ვიცე-პრეზიდენტები - [ვ. ბახუტაშვილი](#) და [გ. ტატიშვილი](#)).

ამჟამად, აკად. პრეზიდენტია [ბ. ხელაძე](#), ვიცე-პრეზიდენტი - [ნ. გოგებაშვილი](#). მ. მ. ა. 2013 იტალიის დედაქალაქ რომში მიიღეს მსოფლიოს აკადემიათა თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრობის კანდიდატად, ხოლო 2016 - სამხრ. აფრიკის ქ. ჰერმენიუსის ორგანიზაციის სრულუფლებიან წევრად.

აკადემიის ეგიდით ინგლისურ ენაზე გამოდის რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშ. აღიარების მქონე ჟურნ. „Critical Care & Catastrophe Medicine“, ქართულ ენაზე კი - რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟურნ. "საქართველოს ქირურგიის მაცნე". აკადემია ყოველწლიურად აწყობს თბილ. საერთაშ. სიმპოზიუმს: „News Steps in Critical Care & Catastrophe Medicine“, საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიებს და სხვა სამეცნ. ღონისძიებებს.

ბ. ხელაძე
